

ქ. თბილისი

3.02.2020 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**კომისიის თავმჯდომარე:**

ლევან მეხუზა - სააგენტოს თავმჯდომარე.

**კომისიის წევრები:**

დავით გრიგოლია - სააგენტოს პირველი მოადგილე;

ზურაბ ვაჭარაძე - სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

დავით ტყემალაძე - სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;

ზაზა სეთურიძე - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

ალექსანდრე კობერიძე - სააგენტოს მევენახეობა-მელვინეობის, ანალიზისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსი.

**მოწვეული სპეციალისტი:**

ლევან ბეგიაშვილი - სააგენტოს სამეურნეო სამმართველოს უფროსი.

**კომისიის აპარატის წევრები:**

პაატა ნარიმანიძე - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ეკატერინე ნაცვლიშვილი - სააგენტოს შესყიდვების სამმართველოს უფროსი;

ბიძინა მიქაძე - სააგენტოს შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

ხათუნა ხაჩიძე - სააგენტოს იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:**

ირაკლი ჩოლობარგია - სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

სალომე მეშველიანი - სააგენტოს იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; კომისიის აპარატის წევრი;

სალომე ქურდაძე - სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი; კომისიის აპარატის წევრი;

**დღის წესრიგი:**

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (ქვეპროგრამა: მევენახეობა-მელვინეობის განვითარების მართვა და ადმინისტრირება) ფარგლებში, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის სხვადასხვა სახის საკანცელარიო საქონლის შესყიდვის მიზნით (CPV: 30100000) განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა-დამტკიცება.

**მოისმინეს:**

კომისიის წევრის ზაზა სეთურიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააგენტოს სამეურნეო სამმართველოს მიერ წარმოდგენილ იქნა 2020 წლის 24 იანვრის № 105-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმადაც სააგენტო საჭიროებს სხვადასხვა სახის საკანცელარიო საქონლის შესყიდვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შესყიდვების სამმართველომ მოამზადა და სატენდერო კომისიის წევრებს გადასცა სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც არის გაერთიანებული CPV – 30100000 კლასიფიკატორის კოდში. აღნიშნული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

ამასთან, სატენდერო კომისიის წევრებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით გადაეცათ ბაზრის კვლევის შედეგები.

#### აზრი გამოთქვას კომისიის წევრებმა:

კომისიის წევრები დაეთანხმნენ ინიციატივას 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის სხვადასხვა სახის საკანცელარიო საქონლის შესყიდვის თაობაზე, ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 5 939 (ხუთი ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი) ლარი.

კომისიის წევრებმა განიხილეს კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ ასევე განიხილა კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია: დანართი №1 - ფასების ცხრილი, დანართი №2 - ხელშეკრულების პროექტი, დანართი №3 - სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და აღნიშნა, რომ სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის სხვადასხვა სახის საკანცელარიო საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი განცხადება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 3.02.2020;

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 5 939 (ხუთი ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი) ლარი;

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს : დღგ-ს გათვალისწინებით;

კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 30100000;

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა: იხ. სატენდერო დოკუმენტაცია;

მოწოდების ვადა: მოწოდება შესაძლებელია ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად

შეთავაზების ფასის კლების ზოგი: 1%;

გარანტიის ოდენობა: 1%;

#### სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია კომისიის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად;
2. განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად.

#### კომისიის თავმჯდომარე:

ლევან მეხუზლა -



#### კომისიის წევრები:

დავით გრიგოლია -



ზურაბ ვაჭარაძე -



დავით ტყემალაძე -





ზაზა სეთურიძე -

*ზ. სეთურიძე*

ალექსანდრე კობერიძე -

*ალ. კობერიძე*

მოწვეული სპეციალისტი:

ლევან ბეგიაშვილი -

*ლ. ბეგიაშვილი*

აპარატის წევრები:

*ე. ნაცვლიშვილი*

ეკატერინე ნაცვლიშვილი

*პ. ნარიშანიძე*

პაატა ნარიშანიძე

*ზ. მიქაძე*

ზიბინა მიქაძე

*ხათუნა ხაჩიძე*

ხათუნა ხაჩიძე

დანართი №1

#	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	საშენობის რეგისტრაციის ფაქტობრივი	ფაქტობრივი	საშენობის რეგისტრაციის ფაქტობრივი	საშენობის რეგისტრაციის ფაქტობრივი
1	ბეტონის ბლოკი	C 50	ცალი	10		საშენობის რეგისტრაციის ფაქტობრივი
2	ბეტონის ბლოკი	C 44 (ოვალური)	ცალი	5		
3	ბეტონის ბლოკი (მრგვალი)	8/PRINTER-R30-სთვის ორფერა (ლორჯი/წითელში)	ცალი	100		
4	ბეტონის ბლოკი	C 30 (მართკუთხა) პატარა ფაქტობრივი	ცალი	50		
5	კალამი	ბურთულიანი ლორჯი.	ცალი	500		
6	კლიბი (საშუალო)-	32 მმ-იანი-	ცალი	360		
7	სკოჩი	დიდი- 48*27-	ცალი	60		
8	სკოჩი	პატარა-12*12-	ცალი	30		
9	სტებლერი	24/6. -	ცალი	30		
10	სტებლერის ტყვია	24/6.-	ცალი	30		
11	ტექსტმარკერი	სხვადასხვაფერი (წითელი, ლურჯი, შავი, მწვანე)	ცალი	30		
12	ფანქარი	2B საშუალო	ცალი	30		
13	ჩასანიშნი ქაღალდი,	არანაკლებ 80*80, არანაკლებ 500 ფურცელი	ცალი	50		
14	ჩასანიშნი	წებოვანი 500გ	ცალი	50		
15	წებო	შშალი	ცალი	10		
16	ჭიკარტი	ფერადთავიანი, ლურჯის. (100 ცალი)	ცალი	5		
17	ბანდერი	ა4 ქაღალდის, მყარი გადსაკრავი გარეკანით, მეტალის შიდა დამჭერთი ფურცლების გასამაგრებლად, მეტალის დასაფიქსირებელი საშუალებით	ცალი	250		
18	დაფის მარკერი	ლორჯი/შავი/წითელი	ცალი	20		





**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №-----**  
**ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) -----**  
**(წინამდებარე ხელშეკრულება დეტალურად დაზუსტდება**  
**მიმწოდებლის სატენდერო წინადადების შესაბამისად)**

ქ. თბილისი

-- 2020 წ.

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

**2. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა (შემდგომში „შემსყიდველი“)  
 მდებარე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. № 6 და

მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“)  
 მდებარე: -----

**3. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ქვეპროგრამა: მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მართვა და ადმინისტრირება) საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 30100000) შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (სატენდერო განცხადების №-----).

**4. ხელშეკრულების ღირებულება**

- 4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
- 4.2. საქონლის ერთეულის ფასები მოცემულია ფასების ცხრილში დანართი №1, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

**5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

- 5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს დანართი №1-ით განსაზღვრული საკანცელარიო ნივთები, მისამართზე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო. იგი პასუხისმგებელია საქონლის ხარისხსა და დროულ მოწოდებაზე.
- 5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება.
- 5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.



## **6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

## **7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1 შემსყიდველი უფლება აქვს, საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო სამმართველო.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ საქონლის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) საქონლის ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

## **8. მომსახურების ვადები, ხარისხი და გარანტია**

8.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდება შესაძლებელია ეტაპობრივად ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 25 კალენდარულ დღეში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი იქნება ახალი და იგი შეესაბამება დანართ № 1-ში მოცემულ პარამეტრებს.

## **9. ანგარიშსწორება**

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## **10. ფასები**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## **11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.



ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი საგარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 14. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

14.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

14.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.



## 16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა კვალიფიციური ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები:

### შემსყიდველი

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

ს/კ 204446965

იურიდ. მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6.

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი

ბ.კ. TRESGE22; ა/ა 200122900

ტელ.: 297 41 03

### მიმწოდებელი

დირექტორი

ს/კ -----)

იურიდ. მის.: -----

საბანკო რეკვიზიტები: -----

ბ/კ -----

ა/ა -----

ტელ.: -----


▼ შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

☐ 1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის სხვადასხვა სახის საკანცელარიო საქონლის შესყიდვა.

☐ ☐ 1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

მოცემულია მიმაგრებულ ფაილში

 დანართი 4 (ტექნიკური).pdf ☐

☐ 1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

  ფასების ცხრილი (დანართი 1).xlsx ☐

☐ 1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

მოწოდება შესაძლებელია ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

☐ 1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო.

☐ 1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?


არა

▼ ტექნიკური მოთხოვნები

☐ 2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

კი

☐ ☐ 2.1.1 მიუთითეთ, თუ რა ინფორმაცია მოითხოვება შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშანთან, პატენტთან, მოდელთან, წარმოშობის წყაროსთან ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით

 მიმწოდებელმა ფასების ცხრილის შევსებისას უნდა მიუთითოს შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყანა, მწარმოებელი კომპანია და მოდელი (მოდელის არ არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ "არ გააჩნია მოდელი" წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებთ დისკვალიფიკაციას დაზუსტების გარეშე)

☐ 2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

☐ 2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?



არა

☐ 2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

☐ 2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

☐ 2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

☐ 2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

არა

☐ 2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

☐ ☐ 2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

2.9.1. ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია

▼ შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

☐ 3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

▼ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

☐ 4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

☐ 4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ექსპერტიზის

ან აუდიტორის დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ექსპერტიზის ან აუდიტორის დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საექსპერტო ან/და აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერთიფიკატი და სხვა) ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორგანიზაციის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა.

☐ 4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

▼ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

☐ 5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

▼ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

☐ 6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

▼ ანგარიშსწორების პირობები

☐ 7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

☐ 7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

☐ 7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე

▼ ხელშეკრულების პროექტი

☐ 8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

 ხელშეკრულების პროექტი დანართი N2.pdf ☐

▼ საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

☐ 9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები



▼ დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

☐ ☐ 10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (გელის შევსება არ არის სავალდებულო)

▼ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

☐ 11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი